ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6871521

ნომერი: AR11014082

თარიღი : 05.02.2024

გაცემის თარიღი : 06.02.2024

გაცნობის თარიღი : 09.02.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შოთა ნადირაშვილის ქუჩა, N 5ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ მახარობლიშვილი პ/ნ 01008018073
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 86 ბ. 8

ორგანიზაცია:

- შპს "ლენდმარკ პროჯექტი" კოდი: 405221843

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 5 თებერვალს №AR11014082 განცხადებით მომართა ავთანდილ მახარობლიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებით, №01.17.14.001.444 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 5 დეკემბრიდან 2024 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856070 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 592.7 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 489.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 5213.6 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა ±0.00 და +7.30 ნიშნულების გეგმებისა) ჩანაცვლდა 2023 წლის 25 დეკემბერს №AR11007707 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით (1-9 ფურცლები).

წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 159.5 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ღია ავტოსადგომის მაჩვენებელი შეადარა შეთანხმებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის განკუთვნილია 13 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 159.5 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს - 159.5 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 159.5 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანებით (სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856070 ბრძანების გათვალისწინებით) შეთანხმებული +4.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის №6791068 და 2024 წლის 25 იანვრის №6856070 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.